



დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

თბილისი, 2017

I. შესავალი

უნივერსიტეტი, თავისთავად, ძალზე კომპლექსური სისტემაა; ამასთან, მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და მათ შედეგებს მრავალი დაინტერესებული პირი ჰყავს. ყოველი მათგანის (მთავრობა, პროფესიული ორგანიზაციები, დამსაქმებლები, აკადემიური სამყარო, სტუდენტი, მშობლები, ზოგადად საზოგადოება) „მოთხოვნა“ მაღალი ხარისხია, ამასთან თითოეულს საკუთარი წარმოდგენა და მოლოდინი აქვთ ზ/ა ხარისხის შესახებ; შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ხარისხი (როცა საკითხი უნივერსიტეტებს შეეხება) არის/უნდა იყოს აკადემიური საზოგადოების და დანარჩენ დაინტერესებულ პირთა „შეთანხმების“ საგანი.

II. დოკუმენტის შემუშავების ორგანიზაცია, ჩართულ პირთა როლი და პასუხისმგებლობა

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურა, თვითმართველობითი ორგანო და აკადემიური საზოგადოების წევრთა და სხვა სტრუქტურების წარმომადგენლობა.

კერძოდ:

1. სტრატეგიული განვითარების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის შიდა შეფასების ანგარიშის საფუძველზე ა) განვითარების სამიზნეების, აქტივობათა დაგეგმვასა და მიღებული შედეგების (და/ან პროდუქტებისთვის) ხარისხის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრაზე; ბ) უნივერსიტეტის სტრუქტურებსა და/ან ორგანოებთან კომუნიკაციაზე, მათ შორის ინფორმირების და/ან აქტივობათა გეგმების შეთანხმების და/ან ინდიკატორთა განსაზღვრის მიზნით;
2. ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) სამსახური: ა) თვითშეფასების მიზნით შესრულებული ამოცანების, პრაქტიკის და შედეგების შეფასება ძლიერი/სუსტი მხარეების განსაზღვრითა და განვითარების ახალი შესაძლებლობების განსაზღვრის მეშვეობით. ბ) ასევე, ახალი სამოქმედო გეგმის (შესაბამისად საკუთარი თვითშეფასების გეგმაზე) შემუშავებაზე მუშაობით;
3. ფაკულტეტის, პროგრამის მართვის ჯგუფი: მასწავლებელთა, სტუდენტთა, ადმინისტრაციული ჯგუფების კონტრიბუცია, დისკუსიებსა და განხილვებში მონაწილეობით;
4. სხვა სტრუქტურები: სამედიცინო განათლების ცენტრი (სგც), ბიბლიოთეკა, სტრატეგიული მართვისა და განვითარების დეპარტამენტი, კანცელარია, უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი, სასწავლო მეთოდური დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი. თვითშეფასების ანგარიშებით და განხილვებში მონაწილეობით.

III. დოკუმენტის შემუშავების ინსტრუმენტები

საანგარიშო პერიოდში (2015/2016 და 2016/2017 სასწავლო წლის გეგმის მიხედვით) დტსუ-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა (იხ. სტრატეგიული გეგმის თითოეული მიზნის შესაბამის თავში), ასევე დოკუმენტის შესავალი და კონტექსტი (უნივერსიტეტის საქმიანობის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური გარემო) შემუშავებისთვის ჩატარებული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თანამონაწილეობითი ტექნიკა (Participation Technologies) შტატის, პარტნიორთა ჩართულობით. ინფორმაციის მიღებისა და ანალიზისთვის გამოყენებული რელევანტური ინფორმაცია ჩამოთვლილია ქვემოთ:

რა	როდის
ანგარიშების, უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების რევიზირება	საანგარიშო პერიოდი
პირდაპირი დაკვირვება	საანგარიშო პერიოდი
კითხვარები და „ჩექლისტები“	ყოველწლიური ანგარიშები, ახალი სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების ეტაპი წინა საანგარიშო პერიოდში
საბაზისო მონაცემთა ანალიზის შედეგები (ანგარიშების და რევიზირება) ახალი სტრატეგიული გეგმის ფორმირებისთვის	2017 წლის აპრილი -ივნისი

IV. მეთოდოლოგია

სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას განისაზღვრა უნივერსიტეტის განვითარების 12 მიზანი, ფორმულირდა მიზნის მისაღწევი სტრატეგიები, განისაზღვრა 7 წლიანი სამიზნეები და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმისთვის გამოყენებული იქნა ლოგიკური ჩარჩო ანალიზი (LFA), და იგი მოიცავს 3 წლიან სამიზნეებს, აქტივობებს, ინდიკატორებს, განხორციელების დროს და პასუხისმგებელ პირებს.

V. მნიშვნელოვანი თარიღები:

2016 წლის სექტემბერში სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსია დასრულდა და გაიგზავნა უკუკავშირისთვის და დისკუსიისთვის

2016 წლის დეკემბერში განხილვა და მოდიფიკაცია დასრულდა და გაეგზავნა რექტორის საბჭოს დამტკიცებისთვის (29.12.2016)

2017 წლის აპრილი - მაისში გადამუშვდა

2017 წლის ივნისში ისევ გაიგზავნა უკუკავშირისთვის

2017 წლის ივლისში დასრულდა მუშაობა დოკუმენტზე

2017 წლის აგვისტოში მმართველი ჯგუფის შეხვედრაზე შეთანხმდა

2017 წლის სექტემბერში დაამტკიცა რექტორის საბჭომ